პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 130 (5160)

3 ივლისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## კვლავ გამარჯვება

ტირასპოლი, 1 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის აქ მიმდინარე ნახევარფინალურ ტურნირში დღეს XIII ტური გათამაშდა.

მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) შეხვდა საერთაშორისო ოსტატ ქ. ზვორიკინას (მინსკი). ქართველი ოსტატის მეფის პაიკის წინსვლას ზვორიკინამ სიცილიური დაცვით უპასუხა. გათამაშდა ამ დაცვის ბოლესლავსკის ვარიანტი, რომელიც თანაბარი თამაშის საშუალებას იძლევა. მაგრამ ნორჩმა თბილისელმა მოჭადრაკემ ძლიერი გამსვლელი პაიკის მიღება შეძლო. ამ პაიკმა ისე შეაწუხა ზვორიკინა, რომ მან ფიგურა დათმო, თუმცა მდგომარეობა ვერც ამან შეუმსუბუქა. 35-ე სვლაზე ჩიბურდანიძემ გაიმარჯვა.

წარმატებით იბრძოდა თ. ხუგაშვილიც (თბილისი), რომელიც ე. კაროსენეს (ვილნიუსი) შეხვდა. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო თბილისელი ოსტატის უპირატესობით: მას ზედმეტი პაიკი აქვს.

გაიმარჯვეს ტ. კოსტინამ (მინსკი) ი. ბერზინიასთან (რიგა), ლ. გოლდინამ (ტაშკენტი) — ნ. ალაბაბიანთან (სტეპანაკერტი). ყაიმით დამთავრდა შეხვედრები ხ. კრუუსიაუკი (ტალინი) — ნ. ჩერნოვა (ლენინგრადი) და ბ. მოსიონჟიკი (კიშინიოვი) — ა. მუსლიმოვა (ალმა-ათა).

ორი პარტია გადაიდო. ტ. ფომინას (ტალინი) ვ. როულაპასთან (რიგა) მძიმე პოზიცია აქვს.

13 ტურის შემდეგ მ. ჩიბურდანიძეს 10,5 ქულა აქვს, თ. ხუგაშვილს — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტ. ფომინას — 8,5 (2) და ტ. კოსტინას — 8 (1).

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

## ფინიში დაუგავპილსში

დაუგავპილსში (ლატვია) დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა 42-ე საჭადრაკო ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირი. ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ერთი და პირველი ლიგის ექვსი საგზურისთვის 64 მოჭადრაკე იბრძოდა, მათ შორის იყვნენ საქართველოს წარმომადგენლებიც: დიდოსტატი ბ. გურგენიძე, ოსტატები ე. უბილავა, თ. გიორგაძე და ა. ბუსლაევი. მეტოქეებმა შვეიცარიული სისტემით 13 ტური გაითამაშეს.

I ადგილი და უმაღლესი ლიგის საგზური დაისაკუთრა ოსტატმა ბ. გულკომ (მოსკოვი) — 10 ქულა. II-IV ადგილები გაიყვეს ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა ა. ბელიავსკიმ (ლვოვი), ოსტატებმა ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი), ე. ჟურავლიოვმა (კალინინგრადი) — 9-9, V-VII ადგილები — დიდოსტატმა ი. ბალაშოვმა (მოსკოვი), ოსტატმა ლ. ალბურტმა და კ. ლერნერმა (ორივე — ოდესა) — 8,5-8,5. ეს მოჭადრაკეები პირველი ლიგის ტურნირში ითამაშებენ.



ლიტვის სსრ. ქალაქ ტრაკაიში, ჰალვეს ტბაზე, ჩატარდა ტრადიციული საერთაშორისო რეგატა „ქარვის ნიჩბები — 74“. ასპარეზობა მოეწყო რესპუბლიკის აკადემიური ნიჩბოსნობის ფედერაციისა და გაზეთ „კომიაუნიმე ტესას“ პრიზებზე.

ს უ რ ა თ ზ ე: რეგატის საერთო ხედი. სარბიელზე არიან რვაადგილიანი ნავები.

ტ. ჟებრაუსკასის ფოტო (საკდესი).

## ხუთი პრიზიორი

ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირად-გუნდური პირველობა ძიუდოში.

წარმატებით იასპარეზეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა (მწვრთნელები ს. ჩიტიშვილი და თ. ნათელაშვილი), რომლებმაც დანარჩენი 10 გუნდის წევრებთან ბრძოლაში I ადგილი დაიკავეს.

პირად ჩათვლაში ჩემპიონის წოდება მოიპოვეს რ. ხარშილაძემ (ქვემძიმე წონა) და მ. გოგოლაურმა (საშუალო). ხარშილაძეს ძლიერი მეტოქეები ჰყავდა მოსკოველი ე. სოლოდუხინისა და მინსკელი ა. კარდაპოლოვის სახით, მაგრამ ორივეს აჯობა.

კარგად იჭიდავა გოგოლაურმაც — ყველა მეტოქეს დამაჯერებლად მოუგო.

ქების ღირსნი არიან ახალგაზრდა ძიუდოისტები ა. წიკლაური (70 კგ) და ს. ფეიქრიშვილი (80). ისინი III საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. III ადგილი ხვდა აბსოლუტურ წონაში ა. მუზაევსაც.

### [illegible]

ხარკოვი, 1 ივლისი. აქ დაიწყო ქალთა მორიგი საკავშირო ჩემპიონატი ცურვაში. ლენინგრადელმა ა. მეერზონმა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში 1.05,7 აჩვენა. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდია. ძველი მიღწევა, რომელიც შარშანდლიდან იმავე მეერზონს ეკუთვნოდა, 1.06,38 იყო. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონი გახდა ასევე ლენინგრადელი ტ. მელოფასტოვა — 1.01,3.

სანტა-კლარა (კალიფორნიის შტატი), 1 ივლისი. 14 ქვეყნის 700 სპორტსმენი მონაწილეობდა მოცურავეთა ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელიც აქ გაიმართა. ქალთა შორის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა, 16 წლის მოსწავლემ ნ. გრინვუდმა (აშშ) მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.17,33. ძველი რეკორდი შარშან აგვისტოდან მის თანამემამულე ქ. როტჰამერს ეკუთვნოდა და 4.18,06-ს უდრიდა.

## პირველ ადგილზე — მოსწავლეები

ასპინძაში მიმდინარე VI რაიონული საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა, გაიმარჯვეს მასპინძელთა საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. სარბიელზე გამოვიდა 300-მდე სპორტსმენი. მათგან 70 პროცენტმა მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა.

კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელი ტოლოშის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. გოგონებში უძლიერესი იყო ასპინძის საშუალო სკოლის გუნდი.

ვ. ცინაძე,
ასპინძის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.



## ფიზიკურ კულტურას — საყოველთაო ზრუნვა

### საძმო რესპუბლიკებში

მშდ კომპლექსის პროგრამით გამართულ საქალაქო სპარტაკიადაში სუმგაითის ყოველი მეოთხე მცხოვრები მონაწილეობდა. აზერბაიჯანელ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ახალგაზრდა ქალაქის ამ ყველაზე მასობრივ შეჯიბრებაში 3000-ზე მეტმა სუმგაითელმა მიიღო მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნები.

ბაქოს ლეიტენანტ შმიდტის სახელობის ნავთობის მანქანათსაშენებელ ქარხანაში სპორტს მუშათა თითქმის ნახევარი მისდევს. მათს განკარგულებაშია სტადიონი, სპორტდარბაზი, სათამაშო მოედნები. რეგულარულად ტარდება სპარტაკიადები.

ყოველივე ეს ითქვა აზერბაიჯანის პარტიული აქტივის კრებაზე, რომელმაც განიხილა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე. მოხსენებით გამოვიდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გულიევი.

კრებაზე აღინიშნა ფიზკულტურულ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებიც. მაგალითად, ითქვა, რომ ბევრ საწარმოში და დაწესებულებაში ფიზკულტურა და სპორტი ჯერ კიდევ არ ქცეულა მშრომელთა გაჯანსაღებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების წყაროდ. სათანადო დონეზე არ დგას ფიზკულტურის პროპაგანდა სოფლად. სერიოზული ნაკლოვანებები არსებობს სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეში. აუცილებელია აზერბაიჯანის სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლებისთვის ზრუნვა.

კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტის განვითარებისთვის.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი.

ბაქო.



ნოვგოროდი. ვოლხოვზე მოეწყო VIII საკავშირო შეჯიბრება წყალსამოტორო სპორტში ჟურნალ „კატერა ი იახტის“ პრიზზე. სარბიელზე გამოვიდა რსფსრ-სა და მოკავშირე რესპუბლიკების 17 გუნდი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების ტრასაზე.

ა. ოვჩინიკოვის ფოტო (საკდესი).

● ერევანი, 1 ივლისი. აქ დაიწყო სსრ კავშირის ვაჟთა მორიგი ჩემპიონატი ცურვაში. გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. 100 მეტრზე ბრასით ასპარეზობაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ნ. პანკინმა მაღალი შედეგით იმარჯვა — 1.05,7. ამავე დისტანციაზე ბატერფლაით ცურვა მოიგო ვ. ნემშილოვმა (მოსკოვი) — 58,7. თავისუფალი სტილით 4×200 მეტრზე ესტაფეტაში ჩემპიონი გახდა რსფსრ-ს კვარტეტი — 7.54,9. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა ვ. ბურემ (მოსკოვი) — 52,8.

● ნოტინჰემი (ინგლისი). 1 ივლისი. მართალია, აკადემიურ ნიჩბოსნობაში ოფიციალური მსოფლიო რეკორდები არ აღირიცხება, მაგრამ ყველა არხს მაინც თავისი მიღწევები აქვს. მაგალითად, აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში რეკორდი დაამყარა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. კორშიკოვმა (სსრ კავშირი), რომელმაც ერთადგილიანით 2000 მეტრზე 7.15,84 აჩვენა. მეორე დღეს მანვე ა. ტიმოშინინთან ერთად ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით ასპარეზობაც მოიგო. ფინიშთან პირველი მიიჭრა საბჭოთა სპორტსმენთა რვაადგილიანი ნავიც (კოლომნის „ტრუდი“), რომელმაც კონტინენტის ჩემპიონს, გდრ-ის ეკიპაჟს 1,46 წამით აჯობა. ასევე დიდი უპირატესობით იმარჯვა სსრ კავშირის მესაჭიანმა ოთხადგილიანმა.

● ტალინი, 1 ივლისი. დამთავრდა XXVI საერთაშორისო რეგატა აფროსნობაში. 7 რბოლიდან 6 საუკეთესოს ჯამში გაიმარჯვეს: „ფინის“ კლასით — ბალაშოვმა — 28,7 საჯარიმო ქულა, „470“-ით — ივნატენკომ — 16,7, „მფრინავი ჰოლანდიელით“ — ლეონტიევმა — 8,7, კატამარან „ტორნადოთი“ — ვასილიევმა — 30,0, „ტემპესტით“ — შელკოვნიკოვმა — 11,0, „ურჩსულით“ — ტინეევმა (ყველა — საბჭოთა კავშირი) — 6,0, „სოლინგით“ — ბელოვმა (გდრ) — 12,0.

### [illegible] -74

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურა და სპორტი — ხუთწლედის სამსახურში!

# სტუმრად სოფლის მშრომელებთან



სოფლად ქალაქის საშეფო მუშაობის გაუმჯობესება, მოსახლეობის ფართო ფენებში ფიზკულტურისა და სპორტის, განსაკუთრებით კი მშდ ახალი ფიზკულტურული კომპლექსის პროპაგანდა იყო მიზანი საგიტაციო გადარბენისა, რომელიც ამას წინათ მოაწყვეს „სპარტაკის" რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობამ.

ამ მისაბაძი ღონისძიების მონაწილენი ეწვივნენ მცხეთის, კასპის, გორისა და ხაშურის რაიონების სოფლის მშრომელებსა და ახალგაზრდობას. საუბრებში, მოხსენებებსა და ლექციებში ისინი მოსახლეობას განუმარტავდნენ ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობას, მშდ ფიზკულტურული კომპლექსის როლს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხოდ გადაქცევაში, ფიზკულტურულ კოლექტივებს კონსულტაციებს უწევდნენ მუშაობის უკეთ წარმართვაში და ადგილობრივი რეზერვების გამოვლინებაში.

მცხეთის რაიონის მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში საგიტაციო კოლონა ერთ-ერთ მოწინავე უბანზე — საცდელ ნაკვეთზე მიიწვიეს, მშრომელებთან სახელდახელოდ გამართული ლექცია-საუბრის შემდეგ მეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნაზი გაბაძემ მუხრანელთა შრომითს მიღწევებზეც ილაპარაკა. საგიტაციო გადარბენის ღირსშესანიშნავი მოვლენების ჟურნალში გაჩნდა პირველი ჩანაწერი: „საცდელ ნაკვეთზე შარშანდელი გეგმა შესრულდა 300 პროცენტით, ხუთწლედი შესრულდა სამ წელიწადში..." მოწინავე მუშამ, ფეხბურთელთა რაიონული ნაკრების გუნდის წევრმა ზ. ხაჩიურმა სტუმრებს დაწვრილებით გააცნო მეურნეობის ახალგაზრდობის მიერ შრომასა და სპორტში მოპოვებული წარმატებები. შემდეგ სტუმრებმა სპორტული ბაზები დაათვალიერეს, რჩევა-დარიგებები მისცეს სპორტის აქტივისტებს.

კასპში რაიონის ფიზკულტურელებთან შეხვედრა ინდუსტრიულ ტექნიკუმში გაიმართა. ძველი და ახალი მშდ ფიზკულტურული კომპლექსების ნიშნოსნებმა, თბილისელმა პედაგოგმა ლ. სტვილიამ, „სამტრესტის" თბილისის საწარმოო კომბინატის წარმომადგენლებმა ნ. კაიშაურმა და გ. თხელიძემ ახალგაზრდებს უამბეს კომპლექსის სრულყოფის ისტორიის შესახებ. მათვე ჭაბუკებსა და ქალიშვილებს საზეიმოდ გადასცეს მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნები და... ვეტერანმა სპორტსმენებმა ახალგაზრდები იქვე გამოიწვიეს შეჯიბრებაში სიგრძეზე ხტომაში ნორმატივების ჩასაბარებლად. თავი არავის შეურცხვენია. ახალგაზრდა მოჭიდავე გ. ბურდული 6 მეტრზე გადახტა და ვეტერანთა პრიზიც მოიგო. გოგონათა შორის სტუმრების საჩუქარი ტექნიკუმის მოსწავლეს ზ. ბუთხუზს ხვდა წილად. საინტერესო შეხვედრებმა რაიონის ცენტრიდან მეტეხისა და ზემო ხანდაკის ახალგაზრდებთან გადაინაცვლა. ხანდაკში სტუმრებმა შენიშნეს, რომ შესანიშნავი სპორტული ბაზების მოვლა-პატრონობას სათანადო ყურადღება არ ექცევა და რაიონის სპორტის მესვეურებთან ერთად მდგომარეობის გამოსწორების გზებიც იქვე დასახეს.

შესანიშნავი ფალავნის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის, კასპელი ლ. კაციაშვილის სახელს კარგად იცნობენ სპორტის მოყვარულები. იგი 39 წლის ასაკში გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში. საგიტაციო გადარბენის მონაწილეებთან მისმა ყოფნამ კიდევ უფრო აამაღლა ამ ღონისძიების ავტორიტეტი. სახელოვან ფალავანს აღფრთოვანებით ხვდებოდნენ გორისა და ხაშურის რაიონების ჭიდაობის მოყვარულნი.

შავშვების საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა შარშან, როგორც ცნობილია, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. სამწუხაროდ, ამ სახელოვან კოლექტივში თურმე არცთუ დიდი პატივით სარგებლობს ფიზკულტურა და სპორტი. მეურნეობის სოფლებს არა აქვთ სპორტული ბაზები. შეჯიბრებაც იშვიათად ტარდება. არც მშდ კომპლექსია სათანადოდ დაფასებული. ფიზკულტურის მეთოდისტად არასპეციალისტი მ. ტატუნაშვილი მუშაობს და ისიც უფრო მეტად კომკავშირული საქმიანობითაა დაკავებული. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შეუძლია მონდომებას, „სამტრესტის" თბილისის საწარმოო კომბინატის წარმომადგენლებმა მეურნეობის მშრომელებს უჩვენეს ფოტოსტენდი, რომელზეც ასახული იყო ბუნების წიაღში სირბილში, ბირთვის კვრაში, ხტომაში, აძალვაში, ღერძზე (ხის ტოტზე) მიზიდვაში და ხელყუმბარის ტყორცნაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მომენტები. შემდეგ კი მასპინძლების მონაწილეობით იქვე, პირდაპირ ხნულებში გაიმართა შეჯიბრება ბირთვის კვრაში. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა — ძალა ყველა მშრომელმა მოსინჯა, საუკეთესოებმა კი ჯილდოდ სპორტული ინვენტარიც დაიმსახურეს.

— ჩემს შვილს ქალაქისკენ რატომ უნდა ეჭიროს თვალი? ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი სოფელი კეთილმოუწყობელია. სპორტი ხომ საერთოდ უყურადღებოდაა მიტოვებული, — სინანულით თქვა მეურნეობის მუშამ, ნიდარბაზეველმა მ. დათუნაშვილმა.

დიდებული სანახავი იყო საგიტაციო კოლონის ხაშურში შესვლა. ეს იყო სპორტის პროპაგანდის ჩინებული დემონსტრაცია. სტუმრებს რაიონულ ცენტრში შესვლამდე მოტოციკლებით, კარტინგებითა და ავტომანქანებით შემოეგებნენ მასპინძლები. ხაშურის ქუჩების შემოვლის შემდეგ ისინი ერთად გაემგზავრნენ ქვიშხეთში, სადაც ადგილობრივი საშუალო სკოლის სპორტულ ბაზებზე დიდხანს გაგრძელდა საინტერესო შეჯიბრებები და მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარება. შემდეგ ზეიმმა ხაშურის ავტომობილისტების შესანიშნავ კომპლექსურ სპორტულ ბაზაზე გადაინაცვლა. იქვე შეჯამდა საგიტაციო ღონისძიების შედეგები. მცხეთის, კასპისა და ხაშურის რაიონების წარმომადგენლებს გადაეცათ ღონისძიების მომწყობი ორგანიზაციების სპეციალური ვიმპელები.

დასასრულ გვინდა წერილი შავშვების საბჭოთა მეურნეობის დირექტორის რ. ყანჩაველის სიტყვებით დავამთავროთ: „ხშირად უნდა გვეწვიოთ. თქვენმა სტუმრობამ სერიოზულად დაგვაფიქრა გადასაჭრელ პრობლემებზე. რაც მთავარია, ამ პრობლემების გადაჭრისთვის სპეციალისტთა სასარგებლო რჩევაც მივიღეთ".

იქნებ სხვა სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელებიც დააფიქროს ამ სიტყვებმა. სპარტაკელთა თაოსნობას სხვებმაც უნდა აუბან მხარი.

**თ. გაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).







ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სტარტის წინ; საგიტაციო გადარბენის მონაწილეთა კოლონა მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში; მცხეთელი ახალგაზრდები ათვალიერებენ სტენდებს; გამორბენით სიგრძეზე ხტომაში მშდ კომპლექსის ნორმატივების საკონტროლო ჩაბარება კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმში.

ავტორის ფოტოები.

# ორ ტურად, ოთხ-ოთხ ეტაპად

მარტში საქართველოს „სპარტაკის" რესპუბლიკურმა საბჭომ იმ სამინისტროებთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომიტეტების კოლეგიებთან, რესპუბლიკურ სამმართველოებთან და პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად, რომელთაც „სპარტაკი" უწევს მომსახურებას, მიიღო დადგენილება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სპარტაკიადისა და მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

სპარტაკიადა სამამულო ომში გამარჯვების 30-ე წლისთავს ეძღვნება და ტარდება ორ ტურად დევიზით: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის".

პირველი ტურის შეჯიბრებები წლეულს უნდა დამთავრდეს, გაისად კი მეორე ტური დაიწყება. თითოეული ტური ოთხი ეტაპისგან შედგება: შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებში; სარაიონო, საქალაქო და საოლქო ასპარეზობანი, პროფკავშირების დარგობრივი კომიტეტების ტურნირები და „სპარტაკის" რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალი.

ღონისძიების არსი ყველასთვის ცნობილი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მას გულგრილად მოეკიდა. მაგალითად, კავშირგაბმულობის, კვების მრეწველობის, გეოლოგიურ საწარმოთა, ავიაციისა და სხვა პროფკავშირების დარგობრივ კომიტეტებს თავიანთი რესპუბლიკური სპარტაკიადები აქამდე არ ჩაუტარებიათ. არადა, რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები რამდენიმე სახეობაში უკვე დამთავრდა. შედეგები შეჯამდა ძიუდოში, ტურისტულ მრავალჭიდში, თავისუფალ ჭიდაობასა და კალათბურთში (სულ სპარტაკიადის პროგრამაში 15 სახეობაა).

ტურისტულ მრავალჭიდსა და ორიენტირებაში შეჯიბრება ქუთაისში ჩატარდა. მრავალჭიდში ყველას მასპინძლებმა აჯობეს. II ადგილზე არიან აფხაზეთის, III — აჭარის წარმომადგენლები. ორიენტირებაში შეჯიბრება თბილისელებმა მოიგეს. მომდევნო ადგილები ქუთაისისა და აფხაზეთის სპორტსმენებს ხვდათ.

ტურიზმში საერთო პირველი ადგილი ქუთაისს მიეკუთვნა. აფხაზეთის ტურისტები II ადგილზე არიან. თბილისელები III ადგილს დასჯერდნენ.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა საგარეჯოში მოიყარეს თავი. აქ სარბიელზე 11 გუნდის 84 სპორტსმენი გამოვიდა. ყველას დედაქალაქის სპარტაკელებმა აჯობეს. II ადგილზეა აფხაზეთის გუნდი, III — ქუთაისის ნაკრები.

კალათბურთელებსაც ქუთაისი მასპინძლობდა. აჭარამ კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანა და როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შეჯიბრებებში პირველობა დაისაკუთრა. ქალთა ასპარეზობის ფინალში აჭარის სპორტსმენებმა აფხაზეთის კალათბურთელებს მოუგეს — 41:35, ხოლო ვაჟთა შეჯიბრებაში აჭარის წარმომადგენლებმა თბილისის გუნდი დაამარცხეს — 61:55. მასპინძლები როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შეჯიბრებებში III ადგილებზე გავიდნენ.

პროფკავშირების დარგობრივი კომიტეტები ფინალური ტურნირიდან პარალელურ ჩათვლებს ილებენ იმის მიხედვით, თუ ქალაქების, ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკების გუნდებიდან ვისი რამდენი წარმომადგენელი მოხვდება პრიზიორთა შორის. ოთხი სახეობის შემდეგ დაწინაურდნენ განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტსმენები, რომლებსაც 195,1 ქულა მოუგროვდათ. II ადგილზე არიან ადგილობრივი მრეწველობის პროფკავშირების წარმომადგენლები — 184,2, III — სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის სპორტსმენები — 31,3.

ამ მხრივ ძალზე ჩამორჩნენ მედიცინის, გეოლოგიის, ავიაციისა და კულტურის მუშაკთა კავშირების წარმომადგენლები.

წლევანდელი სპარტაკიადის შედეგებს ნოემბერში შეაჯამებენ. როგორც ვხედავთ, დრო დიდია და ჩამორჩენილ ორგანიზაციებს საშუალება აქვთ მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოასწორონ.

**ვ. ხანუმიანი.**



## ასპარეზობენ მოსწავლე მძლეოსნები

თერჯოლაში ჩატარდა რაიონის რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა პირველობა მძლეოსნობაში.

საშუალო სკოლებს შორის გუნდური I ადგილი დაიკავეს ქვედა სიმონეთის, II — თერჯოლის, III — ჩხარის წარმომადგენლებმა.

რვაწლიანი სკოლების შეჯიბრებაშიც ქვედა სიმონეთის გუნდმა იმარჯვა. II ადგილი ტყიბულჭევის სკოლის მძლეოსნებმა დაისაკუთრეს. III ადგილი წილად ხვდა თავასის რვაწლიანი სკოლის გუნდს.

**შ. კუტალაძე.**

### ჭიათურა

ჩატარდა ჭიათურის მარგანტრესტის ავტოტრანსპორტელთა შეჯიბრება ჭადრაკსა და შაშში. ჭადრაკში I ადგილზე გავიდა პირველთანრიგოსანი შ. ოვანოვი. შაშში ყველას აჯობა გ. ღვალაძემ.

**ზ. ტატიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXVI ჩემპიონატი

## დაჭიროვნების ჩრონიკა

1 ივლისს გაიმართა XII ტურის კიდევ 7 მატჩი.

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2. მასპინძლები პირველივე ტაიმში ორი გოლით დაწინაურდნენ: მე-7 წუთზე ანგარიში გახსნა ვარიუხინმა, ხოლო კიდევ 14 წუთის შემდეგ ისაკოვმა მოსკოველთა კარში მეორე ბურთი გაიტანა. „ფახთაქორი“ ნაადრევად დამშვიდდა და ამისთვის დაისაჯა კიდეც — ტორპედოელმა სოლოვიოვმა შესვენებამდე 8 წუთით ადრე ერთი გოლი გაქვითა, ხოლო შეხვედრის 51-ე წუთზე დეგტიარიოვმა წონასწორობა აღადგინა.

„ქაირათი“ (ალმა-ათა) — ცსკა 0:0. ალმაათელები სტუმრებზე უკეთესად თამაშობდნენ, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. ამაში ბრალი არმიელთა მეკარე ასტაპოვსკისაც მიუძღვის.

„არარატი“ (ერევანი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:0. სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა კაზარიანისა (მე-13 წუთზე) და ბონდარენკოს (78-ე) მიერ გატანილი გოლების წყალობით.

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:2. სტუმრები თავიდანვე დაწინაურდნენ. „ზარიას“ კარი ჯერ პავლენკომ აიღო (71-ე წუთზე), ხოლო შემდეგ ბაიდაჩნიმ (73-ე) ვოროშილოვგრადელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა. მასპინძლებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა ელისეევმა ერთი გოლი გაქვითა (81-ე წუთზე).

„შახტიორი“ (დონეცკი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 2:2. „ზენიტი“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც წლევანდელი საკავშირო პირველობის არც ერთი მატჩი არ წაუგია. ლენინგრადელები ამჯერად ახლოს იყვნენ დამარცხებასთან — ორჯერ აგებდნენ, მაგრამ ორივეჯერ საპასუხო გოლის გატანა მოახერხეს. ანგარიში მე-40 წუთზე ვასინმა გახსნა. ლენინგრადელმა სადირინმა 53-ე წუთზე 11-მეტრიანით წონასწორობა აღადგინა. „შახტიორი“ 75-ე წუთზე ისევ ვასინმა დააწინაურა, მაგრამ ნიკოლაევმა მეორე საპასუხო გოლი გაიტანა (83-ე წუთი).

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:0. მასპინძლები 90 წუთის განმავლობაში უტევდნენ, მაგრამ თავდამსხმელები უზუსტოდ ურტყამდნენ მეტოქის კარში.

„კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (კიევი) 0:0. კიეველებმა მასპინძელთა მასირებულ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს და ქულას დასჯერდნენ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივლისისთვის

I ლიგა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 16 | 10 | 3 | 3 | 23—9 | 23 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 15 | 8 | 3 | 4 | 23—14 | 19 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 15 | 8 | 3 | 4 | 19—17 | 19 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 15 | 8 | 2 | 5 | 23—13 | 18 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 15 | 7 | 4 | 4 | 17—11 | 18 |
| „ტავრია“ (სიმფეროპოლი) | 15 | 7 | 3 | 5 | 28—20 | 17 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 15 | 6 | 5 | 4 | 18—15 | 17 |
| „დინამო“ (მინსკი) | 15 | 6 | 4 | 5 | 20—18 | 16 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 15 | 6 | 4 | 5 | 18—19 | 16 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 16 | 6 | 4 | 6 | 15—19 | 16 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 16 | 5 | 5 | 6 | 19—16 | 15 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 15 | 6 | 3 | 6 | 18—17 | 15 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 15 | 4 | 7 | 4 | 10—10 | 15 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 15 | 6 | 3 | 6 | 13—17 | 15 |
| „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) | 15 | 3 | 7 | 5 | 13—13 | 13 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 15 | 5 | 2 | 8 | 19—25 | 12 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 16 | 3 | 6 | 7 | 15—22 | 12 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 15 | 4 | 3 | 8 | 15—23 | 11 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 15 | 2 | 6 | 7 | 17—29 | 10 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 15 | 1 | 5 | 9 | 11—27 | 7 |

# ანგარიში სარეკორდო უნდა ყოფილიყო

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 1 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 4:2 (2:0).

„დინამო“: გაგოშიძე (გოგია), ძოძუაშვილი, ჭელიძე, მუჯირი (გ. მაჩაიძე), ებრალიძე, გავაშელი, მჭედლიშვილი, ასათიანი, გუცაევი, მ. მაჩაიძე, წერეთელი.

„ნისტრუ“: კარევი, ტაბაჩუკი, ტეგლეცოვი, რიბაკი, გასპერსკი, სიმონენკოვი, კონსტანტინოვი, ლეკსინი (კარასი), პიუნოვსკი (კუცევი), მიხაილოვი, ნადეინი.

მსაჯი ვ. ვიხროვი (კიევი).

დუბლიორები 2:1.

მატჩის დასაწყისი ცუდს თითქოს არაფერს უქადდათ სტუმრებს. გათამაშების ცხრილში მეტოქენი ერთმანეთის მეზობლად იყვნენ და უპირატესობა „ნისტრუს“ მხოლოდ ბურთების სხვაობაში ჰქონდა — 13:15, დინამოელების ბალანსი ასეთი იყო — 5:12.

დაიწყო თუ არა შეხვედრა, სტუმრებმა მყისვე იერიში წამოიწყეს. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი საბრძოლველად იყვნენ განწყობილი და მშვიდობიანი ფინალი ხელს არ აძლევდათ. განსაკუთრებით აქტიურობდა „ნისტრუს“ გუნდის ორივე ფრთა. ლეკსინ-პიუნოვსკისა და მიხაილოვ-ნადეინის დუეტმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა დინამოელთა კართან, მაგრამ თბილისელთა დაცვა სათანადო სიმაღლეზე იდგა და ამ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. მე-5 წუთზე გუცაევმა მიიღო გადაცემა, გაექცა თავის მეურვეს და ზედ კარის წინ ჩააწოდა ბურთი, სადაც ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა წერეთელი და მისი უძლიერესი დარტყმის მოგერიება შეუძლებელი იყო 1:0.

პირველ მარცხს კიშინიოველმა ფეხბურთელებმა შეტევებით უპასუხეს, მაგრამ მათი ყოველი ცდა თბილისელთა კარის მისადგომებთან იფუშებოდა. ორ შემთხვევაში კარგად ითამაშა მეკარე გაგოშიძემ. 39-ე წუთზე მ. მაჩაიძემ ბურთიანად გვერდი აუარა „ნისტრუს“ მცველებს, დროზე შენიშნა კარის სიახლოვეს მყოფი წერეთელი და ზუსტად გადააწოდა მას ბურთი. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა კვლავ მიზანს მოხვდა. 2:0.

რაც შესვენების შემდეგ მოხდა მინდორზე, ძნელი წარმოსადგენი იყო. ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდეს მასპინძლებმა. დინამოელთა დირიჟორს ასათიანს გრძელი ზუსტი გადაცემებით გაჰყავდა სტუმრების კარის ასაღებად ხან მ. მაჩაიძე, ხან წერეთელი და გუცაევი. ამ მომენტში „ნისტრუს“ დაცვას მარტო ბზარი კი არ გაუჩნდა, არამედ მთლიანად მოიშალა მისი მექანიზმი. კარის აღების ამდენი შესაძლებლობა, რაც გვახსოვს, თბილისელებს არ ჰქონიათ. მაგრამ ამ

უამრავი საგოლე მომენტიდან ფეხბურთელებმა მხოლოდ ორი გამოიყენეს. ორივე გოლი გუცაევმა გაიტანა. 4:0. ამის შემდეგაც არ შეუნელებიათ დინამოელებს იერიშები, „ნისტრუს“ კარი ბარე ხუთჯერ ბეწვზე ეკიდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტებში რალაც სასწაულით ხელუხლებელი რჩებოდა.

მაყურებელი თბილისელთა ახალი წარმატების მოლოდინში იყო, რომ სტუმრებმა მარჯვენა ფრთაზე გაითამაშეს კომბინაცია და ნადეინმა უძლიერესი დარტყმით ბურთი გოგიას კარში გაგზავნა. თბილისელთა მეკარეს ვერ დავადანაშაულებთ. როგორც იტყვიან ეს იყო აუღებელი გოლი. გატანილმა ბურთმა თითქოს ახალი სული შთაბერა სტუმრებს. ისინი სულ უფრო ხშირად უტევდნენ თბილისელთა კარს და 2 წუთის შემდეგ კვლავ მიაღწიეს წარმატებას. ბურთი გაიტანა კარასმა.

ვერ ვიტყვით, რომ „დინამომ“ მონდომებით არ ითამაშა, არა. ყველა აზრიანად მოქმედებდა, დაკისრებულ საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებდა, მაგრამ, გოლის გატანისთვის აშკარად ხელსაყრელ მომენტებში თავდამსხმელები ჩქარობდნენ და ბევრ შემთხვევაში უკეთეს მდგომარეობაში მყოფ პარტნიორს ვერ ამჩნევდნენ.

ანგარიში სარეკორდო უნდა ყოფილიყო, მაგრამ თბილისელები მხოლოდ ორი ბურთის სხვაობით გამარჯვებას დასჯერდნენ. ზეგ თბილისის „დინამოს“ მეტად სახიფათო მეტოქე ჰყავს თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში კიევის „დინამოს“ სახით. კიეველები ყველაფერს ილონებენ, რომ შინ მინიმალური ანგარიშით მოგება შეინარჩუნონ და ფინალისტები გახდნენ. ჩვენს დინამოელებს კი მეტი მონდომების, სიზუსტისა და სიფხიზლის გამოჩენა მართებთ, რათა ფეხბურთის ათასობით მოყვარულის იმედი გაამართლონ.

ზ. ჯანდიერი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივლისისთვის

უმაღლესი ლიგა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 12 | 6 | 5 | 1 | 15—7 | 17 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 12 | 5 | 7 | 0 | 14—8 | 17 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 12 | 4 | 6 | 2 | 14—10 | 14 |
| „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 12 | 4 | 5 | 3 | 22—18 | 13 |
| „არარატი“ (ერევანი) | 12 | 5 | 3 | 4 | 14—11 | 13 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 12 | 4 | 5 | 3 | 12—10 | 13 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 12 | 3 | 6 | 3 | 15—17 | 12 |
| ცსკა | 12 | 3 | 5 | 4 | 17—17 | 11 |
| „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) | 12 | 3 | 5 | 4 | 15—16 | 11 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 11 | 3 | 5 | 3 | 7—8 | 11 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 12 | 3 | 5 | 4 | 10—12 | 11 |
| „დინამო“ (თბილისი) | 11 | 3 | 5 | 3 | 9—14 | 11 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 12 | 2 | 6 | 4 | 9—11 | 10 |
| „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 12 | 3 | 3 | 6 | 15—19 | 9 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 12 | 2 | 5 | 5 | 5—7 | 9 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 12 | 2 | 4 | 6 | 14—18 | 8 |



სურათებზე: ასეთი მომენტები უხვად იყო ამ მატჩში. ზევით — „ნისტრუს“ მეკარე კარევი უძლურია მოიგერიოს კარში მიმავალი ბურთი; ზ. წერეთელი მორიგ რეიდზე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



### ბომბარდირები

ბომბარდირთა შორის საგრძნობლად დაწინაურდა ალმაათელი ა. იონკინი („ქაირათი“), რომელმაც საკავშირო ჩემპიონატის 12 შეხვედრაში 10 გოლი გაიტანა. მას სამი გოლით ჩამორჩება ა. ბაიდაჩნი („დინამო“, მოსკოვი). ხუთ-ხუთი გოლი მოდის კიშინიოველი ნ. მიხაილოვისა („ნისტრუ“) და იონკინის თანაგუნდელ ვ. ჩებოტარიოვის ანგარიშზე.

# რეკლამა... უნაგირებზე

უკვე დიდი ხანია საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ საზღვარგარეთ ყველა რანგისა და ზომის ფირმები სპორტს ხალისით იყენებენ რეკლამის მიზნით. მაგრამ, დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „კაპიტალის“ აზრით, ბოლო წლებში დასავლეთში ამ მხრივ ყველაზე მეტი გამოყენება ველოსპორტმა ჰპოვა. როცა ველოსიპედისტთა გუნდები ავტოსტრადებზე და ქუჩებში ჩაიქროლებენ, კაცს თვალები აუჭრელდება ფირმების, აპერიტივების, მაკარონისა და ლოსიონების ათასგვარი დასახელებებისგან, რომლებითაც „დამშვენებულია“ მათი მაისურები, ტრუსები, ქუდები.

გფრ-ის ავეჯის ფაბრიკანტი რობერტ კალი დიდხანს იმტვრევდა თავს იმაზე, თუ როგორ მიელო მეტი შემოსავალი „როკალოს“ გარნიტურებით ვაჭრობით. დორტმუნდელმა ბიზნესმენმა საგანგებო ბიუროს მიმართა, სადაც ურჩიეს უფრო ფართოდ გაეწია რეკლამა „როკალოს“ სკამებისა და მაგიდებისათვის. „თქვენი დონის ფაბრიკანტებს რეკლამისთვის ველოსიპედისტთა საკუთარი გუნდები ჰყავთ“, — უთხრა კალს „საქმეში ჩახედულმა ხალხმა“. ოთხი თვის შემდეგ ახალგამოცხვარი მეცენატის „თვალაში“ უკვე ატრიალებდნენ პედალებს ფრანგი ლიუსიენ ემერი, ჰოლანდიელი გერბენ კარსტენსი, გერმანელები როლფ ვოლსჰოლი და კლაუს ბუგდალი. სწორედ ისინი უწევდნენ რეკლამას „როკალოს“ პროდუქციას „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში.

დასავლეთ ევროპის გზებზე იტალიურ „სალვანისის“ ავეჯს, „მოლტენის“ ძეხვსა და „ფაემის“ ყავის სახარშს რეკლამას უწევენ სახელგანთქმული მრბოლელები — იტალიელი ჯიმონდი და ბელგიელი ედი მერქსი. როგორც „კაპიტალი“ აღნიშნავს, „ცოცხალი რეკლამა“ ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე პრესაში განცხადების გამოქვეყნება ან ტელევიზიით გამოსვლა. „მართლაც, — გულახდილად ამბობს ე. მერქსი, — მთელი სეზონის მანძილზე რეკლამას უწევენ სამუშაოს მომცემთა „ღირსებებს“ პირველ ყოვლისა... ტელევიზიითა და ყოველდღიურ გაზეთებში. რეკლამისთვის კაცი უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებს“.

„პროფესიული რბოლები, — წერს ჟურნალი, — რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ემსგავსება ფირმების შეჯიბრებას მიუხედავად ქვეყნისა და ეროვნებისა, მრბოლელები „მუშაობენ“ ერთი რომელიმე „პატრონისთვის“. ფავორიტმა უნდა მოიგოს, „სტატისტებმა“ მის გამარჯვებას „ხელი უნდა შეუწყონ“. ამიტომ პროფესიულ სპორტში უსახელო და უცნობი მრბოლელი შეჯიბრებას ვერასდროს მოიგებს. ყველა რიგითი „სტატისტი“ უხიტყვოდ ასრულებს გუნდის მენეჯერის ბრძანებას, რათა „სახელიანმა“ მრბოლელმა მოიგოს და ამით უზრუნველყოს თავისი „პატრონის“ საქონლის მაქსიმალური რეკლამა.

ლიეჟის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა, რომლებმაც შეისწავლეს სპორტსმენთა მდგომარეობა ეგრეთ წოდებულ „გუნდურ თავლებში“, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვეს. „ესაა ნამდვილი მონობა და უმოწყალო ექსპლოატაცია“, — აღნიშნავენ ბელგიელი სოციოლოგები. კონტრაქტებში პირდაპირაა ჩაწერილი, რომ მრბოლელები „თავს არ უნდა ზოგავდნენ ფირმის სადიდებლად“, მაგრამ საკმარისია სპორტსმენი დაშავდეს ან ავად გახდეს, რომ იგი უკვე აღარავის სჭირდება.

როცა გამარჯვებული ფინიშის ხაზს კვეთს და მისალმების ნიშნად ხელებს აღმართავს, იგი ყველაზე ნაკლებად გამარჯვებაზე და დაკავებულ ადგილზე ფიქრობს. როგორც კონტრაქტშია ჩაწერილი, ამ დროს „მრბოლელი ვალდებულია იზრუნოს, რომ ირგვლივ მყოფნი მის ტახსაცმელზე რეკლამას კარგად და გარკვევით ხედავდნენ“.

ო. ნიკიფოროვი.
(საკდესის კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეჯიბრება სამსახურებრივ მრავალჭიდში

თბილისის სპორტულ ბაზებზე სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად-გუნდური ჩემპიონატი სამსახურებრივ მრავალჭიდში. პროგრამაში იყო მოტოციკლის ფიგურული მართვა, სამსახურებრივი იარაღის სროლა, 100 მეტრზე ცურვა, 300 მეტრზე განლაგებული 10 სხვადასხვა ტიპის წინაღობათა გადალახვა. სამწუხაროდ, ორიენტირებაში შეჯიბრება არ ჩატარებულა.

ეს ის სახეობებია, რომლებშიც მილიციისა და საგზაო ზედამხედველობის ყველა მუშაკი სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული.

შეჯიბრებაში, რომელშიც 7 გუნდი მონაწილეობდა, ყველაზე კარგად მომზადებული კოლექტივი გამოიყვანა ქუთაისმა (მწვრთნელი ლ. ადეიშვილი). ამ გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ უბნის ინსპექტორი, უფროსი ლეიტენანტი ი. ჯიშკარიანი, საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორები ზ. გაბუნია და ლ. ლიკლიკაძე, რიგითები ნ. ფურცხვანიძე და ა. ცერცვაძე, საბოლოოდ 11860 ქულა მოაგროვა და საერთო I ადგილი დაისაკუთრა. II ადგილზე არიან რუსთავის სპორტსმენები — 10696, III — აფხაზეთის კოლექტივი — 10564. თბილისელები IV ადგილს დასჯერდნენ — 10488 ქულა.

პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა ქუთაისელმა ზ. გაბუნიამ. მან ოთხი სახეობის ჯამში 3572 ქულა მოაგროვა და მეორე პრიზიორი, თბილისელი ნ. ვართანოვი 264 ქულით ჩამოიტოვა. III ადგილი წილად ხვდა ა. კალაჯიანს (აფხაზეთი) — 3302.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც 15 ივლისიდან მოსკოვში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად-გუნდურ ასპარეზობაში მიიღებს მონაწილეობას. შარშანდელ საკავშირო ტურნირში საქართველოს გუნდი უხეიროდ გამოვიდა, ვინაიდან რესპუბლიკაში სამსახურებრივ მრავალჭიდს სათანადო ყურადღება არ ეთმობა და საწვრთნელი მეცადინეობები რეგულარულად არ ტარდება, გუნდები წვრთნას მხოლოდ შეჯიბრების მოახლოებისას იწყებენ. არადა, ამ გამოყენებითს სპორტში ბოლო წლების კლასიფიკაციით სპორტის ოსტატის ნორმატივიც დააწესეს.

ო. ივლოშვილი.

• • •



სურათზე: ქუთაისის შინაგანი სამსახურის სამმართველოს ნაკრები გუნდი. მარცხნიდან — ლ. ადეიშვილი (მწვრთნელი), ზ. გაბუნია, ი. ჯიშკარიანი, ნ. ფურცხვანიძე, ა. ცერცვაძე და ლ. ლიკლიკაძე.

ბ. ვადაჰკორიას ფოტო.

WM-74 13/VI — 7/VII

# გუნდები და სნაიპერები

დღემდე მსოფლიო ჩემპიონატში 32 მატჩი ჩატარდა. გატანილია 85 გოლი, რაც საშუალოდ ყოველ მატჩში 2-ზე მეტ ბურთს ნიშნავს. სნაიპერთა სიაში გაბატონებული „მდგომარეობა" უკავიათ პოლონელ ფეხბურთელებს. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მათ ჯერჯერობით ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ჰყავთ.

აი, როგორ განლაგდნენ ნახევარფინალური ტურნირის მონაწილე გუნდები გატანილი გოლების მიხედვით:

**პოლონეთი — 15**
**ჰოლანდია — 12**
**იუგოსლავია — 11**
**გფრ — 10**
**არგენტინა — 9**
**ბრაზილია — 6**
**შვეცია — 5**
**გდრ — 4**

როგორც ხედავთ, ცხრილი მიახლოებით გამოხატავს გუნდების თამაშის დონეს და თავდამსხმელთა ბრძოლისუნარიანობას. ერთგვარი შეუსაბამობაა ბრაზილიის ნაკრების სატურნირო მდგომარეობასა და მის თავდამსხმელთა შედეგიანობას შორის. ეს, სხვათა შორის, ტურნირის თავისებური სენსაციაცაა.

დღეისთვის სნაიპერთა სია ასეთია:

ლატო (პოლონეთი) — 6
ა. შარმახი (პოლონეთი) — 5
რეპი (ჰოლანდია) — 4
ბაევიჩი (იუგოსლავია) — 3
დეინა (პოლონეთი) — 3
რიველინო (ბრაზილია) — 3
ნეესკენსი (ჰოლანდია) — 3
ედსტრიომი (შვეცია) — 3

11 ფეხბურთელს გატანილი აქვს 2-2 გოლი, დანარჩენებს კი — თითო.

# მაყურებლები...

საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე გამოიანგარიშა ჯგუფური ტურნირების ცალკეული მატჩების მაყურებელთა რაოდენობა.

პირველი ჯგუფის შეხვედრები სულ 248.800 კაცმა ნახა, რაც საშუალოდ ყოველ მატჩში 40 ათასზე მეტ მაყურებელს უდრის. მეორე ჯგუფის თამაშებს დაესწრო 264 ათასი მაყურებელი, მესამე ჯგუფისას — 219 ათასი, მეოთხისას — 267.800.

ჯგუფურ ტურნირებში ყველაზე მეტი მაყურებელი გფრ — ჩილის შეხვედრას ჰყავდა (79.600), ყველაზე ცოტა კი — ბულგარეთისა და ურუგვაის ფეხბურთელთა მატჩს (12 ათასი).

სტადიონის ტრიბუნები სავსე იყო ბრაზილია — იუგოსლავიის, გფრ — გდრ-ის, შოტლანდია — ბრაზილიის, ჰოლანდია — შვეციის, ჰოლანდია — ბულგარეთის, არგენტინა — იტალიისა და პოლონეთ — იტალიის მატჩებზე.

• •

# შავი ბირჟის ბიულეტენი

ლონდონის ყოველკვირეულმა გაზეთმა „უორლდ სპორტსმა" დაბეჭდა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებსაც ყველაზე მეტი მუშტარი ეყოლებოდათ შავ ბაზარზე. აი, ისინიც: ბეკენბაუერი (გფრ), კრუიფი (ჰოლანდია), ჯაიჩი (იუგოსლავია), აიალა (არგენტინა), რიველინო (ბრაზილია), კინდვალი (შვეცია), მაზურკევიჩი (ურუგვაი), ბრემნერი (შოტლანდია), კაკოკო (ზაირი), დეზირი (ჰაიტი).

ცალკე იყო გამოქვეყნებული სია სოციალისტური სახელმწიფოების ფეხბურთელებისა, რომლებსაც დიდი სიამოვნებით შეიძენდნენ უცხოელი აგენტები, ამ ქვეყნებში ფეხბურთელთა გაყიდვა რომ ხდებოდეს (ბულგარელი ბონევი, პოლონელები დეინა და გადოხა, გდრ-ის წარმომადგენელი შტრაიხი).

როგორც ხედავთ, შავი ბირჟის ეს თავისებური ბიულეტენი ბევრ პუნქტში შეცდა. ჯერ ერთი, მან დაასახელა რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც უკვე გაყიდული არიან და ჯერჯერობით აუქციონში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. გფრ-ის სტადიონებზე მართლაც მოხდა რამდენიმე გარიგება, მაგრამ ეს „უორლდ სპორტსის" რეკომენდაციების გარეშე ჩატარდა.

## ვინ იმსახურებს დღეს?

ტეილორი (ინგლისი):
**არგენტინა — გდრ.**
ჩენჩერი (გფრ):
**ჰოლანდია — ბრაზილია**
ლინერმაიერი (ავსტრია):
**გფრ — პოლონეთი.**
პესტარინო (არგენტინა):
**იუგოსლავია — შვეცია**

WM 74

# კარგი შთაბეჭდილებით...

ნახევარფინალური ტურნირების პირველი წრის შეხვედრების შემდეგ სპეციალისტებმა კვლავ შეადგინეს მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები. ამჯერად მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჰოლანდიელთა გამარჯვებამ არგენტინელებზე, ამიტომაც გუნდი მეტწილად ჰოლანდიური ყაიდისაა.

აი, როგორ შედგა ნაკრები: მეკარე — **ტომაშევსკი** (პოლონეთი); მცველები — **ზე მარია, ლუის პერეირა** (ორივე — ბრაზილია), **ბეკენბაუერი, ბრაიტნერი** (ორივე — გფრ); ნახევარდაცვა — **ვან ჰანეგემი, ნეესკენსი** (ორივე — ჰოლანდია), **კასპერჩაკი** (პოლონეთი); თავდამსხმელები — **რეპი, კრუიფი, რეესენბრინკი** (ყველა — ჰოლანდია).

•

# მწვრთნელების აზრით

**ჰელმუტ შიონი** (გფრ — შვეციის მატჩის შემდეგ): ეს იყო ბრწყინვალე მატჩი, ჩემპიონატის ნამდვილი მარგალიტი. ჩემი აზრით, უკეთესი ფეხბურთი მიმდინარე ტურნირში არ გვინახავს.

**გეორგ ერიქსონი** (შვეციის გუნდის მწვრთნელი, იმავე შეხვედრის შესახებ): ჩემმა ბიჭებმა ამ ტურნირის საუკეთესო მატჩი ითამაშეს. საერთოდ, ეს იყო შვეციის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ბრწყინვალე თამაში. ჩვენი მეტოქე ძლიერია და, ვფიქრობ, იგი უეჭველად გავა ფინალში.

**რინუს მიხელსი** (ჰოლანდიელთა მწვრთნელი): ჩვენი მთავარი დუელი ბრაზილიელებთან მატჩშიც შეტევა იქნება. არამც და არამც არ ვუღალატებთ წინა ხუთი შეხვედრის პრინციპს, ვინაიდან ის, ვინც არ უტევს, წარმატებას ვერ მიაღწევს. ამ მხრივ ყურადსაღებია გდრ-ის ფეხბურთელთა პოზიცია ჩვენთან შეხვედრაში. ისინი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდნენ და კიდევ იმაზე, თუ როგორ უვნებელეყოთ კრუიფი, ნეესკენსი და რეპი. დარწმუნებული ვარ, მიუნჰენში შაბათს კი არ მოგვიწევს თამაში, არამედ კვირას — მთავარ ფინალში.

**მარიო ზაგალო** (არგენტინელებთან მატჩის შემდეგ): გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ჰოლანდიელებთან კიდევ უკეთ უნდა ვითამაშოთ, თორემ საქმე ცუდად წაგვივა. ეს გუნდი კომენტარს არ საჭიროებს.

**ლადისლაო კაპი** (არგენტინელთა მწვრთნელი): ბრაზილიელები სულ ტყუილად ფაფხურობენ, მაინც არაფერი გამოსდით. ჰოლანდიის ნაკრები რომ უფრო ძლიერია, ეს საკუთარ თავზე გამოვცადეთ. მათთან დიდი ანგარიშით დავმარცხდით. ბრაზილიელებს კი სულ ცოტათი ჩამოვრჩით. უფრო სწორად, მათ ერთით მეტი ბურთი გაიტანეს.

**კაზიმეჟ გურსკი** (პოლონეთის გუნდის მწვრთნელი). ვიცით, რომ მძიმე ამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგრამ 3 ივლისს წაგებას არ ვაპირებთ. ბედი აქამდე გვწყალობდა და არა მგონია, რომ ამჯერად გაგვწიროს.

მწვრთნელთა ენთუზიაზმი სავსებით გასაგებია. ყველას აქვს კანონიერი სურვილი, რომ თავისი გუნდი საფეხბურთო ოლიმპზე ნახოს. მაგრამ ანგარიშგასაწევია ერთი დეტალი: ჰოლანდიისა და გფრ-ის ფეხბურთელებს მთავარ ფინალში გასასვლელად ფრეც ხელს აძლევთ, იმ დროს, როცა ბრაზილიელებმა და პოლონელებმა უსათუოდ უნდა მოიგონ. აი, სწორედ ამ ფსიქოლოგიური უპირატესობის ტყვეობაში არიან სპეციალისტები, როცა წინ აყენებენ ჰოლანდიისა და გფრ-ის გუნდებს.

## ჭორები

### შეხვედრები უსიამოვნო...

იმედგაცრუებული იტალიის ნაკრები მრავალი ათასი გაწბილებული გულშემატკივრის თავდასხმისგან რომ დაეცვა, ორშაბათს, 24 ივნისს, პოლიციელთა და კარაბინერთა დიდმა ჯგუფმა მიაშურა მილანის აეროპორტ ხალკენზას, სადაც „ცისფერი გუნდი" უნდა ჩამოსულიყო. უნდა ითქვას, რომ იტალიელებს პოლიციელთა დახმარება ჯერ კიდევ შტუტგარტში დასჭირდათ, სადაც ადგილობრივ აეროპორტში გუნდის ავტობუსი პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპს მიაყენეს. იგივე განმეორდა მილანში. იტალიის ნაკრები თვითმფრინავის ტრაპიდან პირდაპირ ავტობუსში მოთავსდა.

### ...და სასიამოვნო

შოტლანდიის ნაკრები ტურნირში, მართალია, წარუმატებლად გამოვიდა, მაგრამ თამაშით კარგად ითამაშა. არც ერთი მატჩი არ წაუგია და მის მარცხს უფრო უიღბლობას მიაწერენ. ამიტომაც იყო, რომ დასავლეთ გერმანიიდან ჩამოსულ გუნდს გლაზგოს აეროპორტში შეკრებილმა უამრავმა გულშემატკივარმა პირდაპირ ტრიუმფული შეხვედრა მოუწყო.



ლენინგრადის სათხილამურო ტრამპლინს კარგად იცნობენ საბჭოთა და უცხოელი სპორტსმენები. ამ ტრამპლინზე ბოლო წლებში ბევრი საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრება ჩატარდა. რეკონსტრუქციის შემდეგ ტრამპლინს ხელოვნური თოვლის საფარი გაუკეთეს და მფრინავ მოთხილამურეებს აქ მთელი წლის მანძილზე შეუძლიათ ვარჯიში. კავგოლოვოს ბაზა საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი „საზაფხულო" ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინია. აქ ზამთრობითაც და ზაფხულობითაც შეიძლება 70 მეტრზე მორს მანძილზე ხტომა, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზამთრის ახალი სეზონისთვის მზადებისთვის.

სურათზე: სპორტსმენები ლენინგრადის დიდ ტრამპლინზე ვარჯიშის შემდეგ.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448